სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
58432080183026

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება
ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
N260326842



რეგისტრაციის თარიღი
16.03.2026 წ

ნოტარიუსი: ნანი სიდამონიძე
მისამართი: ქ. თბილისი, დ.გურამიშვილის გამზ #27
ტელეფონი: 593-32-67-97

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას ოცდაექვსი წლის თექვსმეტ მარტს მე, ნოტარიუსს ნანი სიდამონიძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. #27-ში, მომმართა ბატონმა **გიორგი გუტიკაშვილმა** , რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა წარმოდგენილი პროექტის მიხედვით და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **გიორგი გუტიკაშვილმა (დაბ. 16/10/1985წ. პ # 01023010043, მისამართი: ქალაქი თბილისი, რატევანის ქუჩა, N 18)** მომმართა .

მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე, ნოტარიუსმა ნანი სიდამონიძემ, წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მარწმუნებელს და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

რწმუნებულება

ორიათას ოცდაექვსი წლის თექვსმეტ მარტს **გიორგი გუტიკაშვილმა** რომელიც ამ მინდობილობაში შემდეგში მოხსენიებულია, როგორც მარწმუნებელი~ **შპს „ნ პლუსი“ ს(საიდენტიფიკაციო ნომერი: 205226995, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, № 44, სართული 1, კომერციული ფართი (მშენებარე)) - დირექტორის - მაია შელიას (პ #01024012885) წარმომადგენლობით,**რომელიც შემდეგში მოხსენიებულია, როგორც `რწმუნებული~, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მინდობილი პირი უფლებამოსილია:

1. იყოს მინდობილობის გამცემის წარმომადგენელი ყველა კომპეტენტურ ორგანიზაცია-დაწესებულებაში, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია-დაწესებულებაში, ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, ნებისმიერ ა(ა)ი.პ-ში, ნებისმიერი სსიპ-ში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, ნებისმიერ მუნიციპალიტეტში/მერიაში და მის სამსახურებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მის დაქვემდებარებაში მყოფ ნებისმიერ სამსახურში და სსიპ-ში და ააიპ-ში (ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურში, თბილისის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, იურიდიული საქალაქო სამსახურში, უსაფრთხოების საქალაქო სამსახურში, კეთილმოწყობის სამსახურში, თბილისის მუნიციპალური ინსპექციაში, მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოში, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურში), სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში, გამგეობაში, ქალაქ თბილისის საკრებულოში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში და მის ნებისმიერ სამსახურში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მშენებლობის და ძეგლთა დაცვის სამსახურში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლში, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, ნებისმიერ საექსპერტო დაწესებულებაში, ნებისმიერ არქივში, ნებისმიერ სამშენებლო კომპანიაში, შემოსავლების სამსახურში, სანოტარო ბიუროში, საამზომველო ფირმებში, აუდიტის სამსახურში, კომუნალური სერვისების მიმწოდებელ ორგანიზაციებთან, ნებისიმერ გაზმომარაგების, წყალმომარაგების, ელექტროენერგიით მომარაგების, დასუფთავების სამსახურთან, ინტერნეტის სერვისით მომსახურე კომპანიასთან, ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებთან და შეასრულოს შემდეგი დავალებები:
2. მინდობილობის გამცემის სახელით მოახდინოს ნებისმიერი უძრავი ქონების - დაკანონება, ნებისმიერი სახის ცვლილება, ფართების იდენტობა, ფართის კორექტირება, ფართის დაზუსტება, ცვლილება, გამიჯვნა, გაყოფა დაყოფა, მიერთება, ფართების გაერთიანება, კონფიგურაციის შეცვლა, მოახდინოს ცვლილებების რეგისტრაცია კოორდინატთა სისტემაში ან დაზუსტოს უძრავი ქონების კვადრატულობა და აზომვითი ნახაზის შესაბამისად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურში მინდობილობის გამცემის სახელზე რეგისტრაცია. მინდობილი პირი უფლებამოსილია წარადგინოს, მიიღოს, გამოითხოვოს და აღადგინოს მინდობილობის გამცემის სახელით განცხადებები, ცნობები, მოწმობები, საბუთები, ნებართვები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, დოკუმენტები, განაცხადოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის თანხმობა, განცხადება და ხელი მოაწეროს მას, საჭიროების შემთხვევაში ჩაასწოროს ხარვეზი, დაადგინოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, დაამზადებინოს უძრავი ქონების აზომვითი ნახაზები, დაამზადოს საკადასტრო რუკა/გეგმა, განაახლოს საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, აგრეთვე უძრავი ქონება ნებისმიერი საფუძვლით დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში მინდობილობის გამცემის სახელზე, უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებით წარადგინოს შესაბამისი განცხადება, დოკუმენტები უზრუნველყოს ცვლილებების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, მიიღოს რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი (ამონაწერი), დააზუსტოს მოთხოვნა, შეაჩეროს, შეწყვიტოს ან/და განაახლოს სარეგისტრაციო საქმის წარმოება, ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტებს, გადაიხადოს გადასახადები, სახ. ბაჟები და მოსაკრებლები და შეასრულოს ნებისმიერი ფორმალობა რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.
3. მინდობილობის გამცემის სახელით შეიტანოს და შეათანხმოს ნებისმიერ უძრავი ქონების, მშენებლობასთან დაკავშირებით მშენებლობის პროექტი, ამასთან მიიღოს დამტკიცებული მშენებლობის პროექტი და მშენებლობის ნებართვა. მინდობილობის გამცემის სახელით აწარმოოს პროექტების, ფოტომონტაჟის წარდგენა, ფართის დაზუსტება, სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილება/კორექტირების შეტანა, დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა, ხარვეზის გამოსწორება; მშენებლობასთან, დაკავშირებით შეათანხმოს და მიიღოს ნებართვა საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით, შეათანხმოს/წარადგინოს/დაამტკიცოს პროექტები (კორექტირებული პროექტები, საკადასტრო ნახაზი, სიტუაციური ნახაზი) ატვირთოს ელექტრონული დოკუმენტები, მიიღოს ნებართვები, შეიტანოს კორექტირება პროექტში, მინდობილობის გამცემის სახელით წარადგინოს/შეიტანოს განცხადება უძრავი ქონების ექსპლუატაციაში მიღების შესახებ და განახორციელოს ყველა მოქმედება, რაც საჭირო იქნება უძრავი ქონების საჯარო

რეესტრში რეგისტრაციისათვის. მშენებლობასთან დაკავშირებით შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია/ცნობები/მოწმობები ყველა პირისაგან/დაწესებულებისაგან, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურთან, მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, ამ დავალების შესასრულებლად შეიტანოს ყოველგვარი განცხადება, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ნებართვა, ცნობა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი ან მისი ასლი, გასცეს და ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახისა და შინაარსის თანხმობებს და შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით. მინდობილობის გამცემის სახელით მოითხოვოს ნებისმიერ უძრავ ქონებაზე რეგისტრირებულ უფლებაში/უფლებებში ცვლილების/ცვლილებების რეგისტრაცია, შეიტანოს ნებისმიერი სახის განცხადება/განცხადებები, გასცეს თანხმობა/თანხმობები, დაეთანხმოს განშლის ოქმს და მინდობილობის გამცემის სახელითა და მისი ინტერესების დაცვით, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით განახორციელოს ყველა და ნებისმიერი სხვა ქმედება, რაც დაკავშირებული იქნება მინდობილობის გამცემი ინტერესებთან და მინიჭებულ უფლებამოსილებასთან. გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადები და შეასრულოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა პროცედურა და მოქმედება, რაც აუცილებელია მინდობილობის გამცემის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

4. აწარმოოს მინდობილობის გამცემის სახელით ნებისმიერ უძრავ ქონებაზე წყლის, გაზის ელექტროენერგიის გაყვანასთან დაკავშირებული საქმიანობა. წარმოადგინოს მინდობილობის გამცემის ინტერესები გაზმომარაგების, წყალმომარაგების, ელექტროენერგიით მომარაგების, დასუფთავების სამსახურთან, სს სილქნეტ-თან, შ.პს. "მაგთიკომ"-თან ურთიერთობისას, რათა მან უზრუნველყოს მინდობილობის გამცემის აბონენტად რეგისტრაცია და/ან ცვლილება, აგრეთვე გაზის, ელექტრო ენერგიის, წყლისა და ინტერნეტ კომუნიკაციის მონტაჟთან/დემონტაჟთან, გამრიცხველიანებასთან და სხვა ტექნიკურ სამუშაოებთან დაკავშირებული მოქმედებების შესრულება, მოამზადოს და წარადგინოს მინდობილობის გამცემის კუთვნილ ნებისმიერ უძრავ ქონებაზე, გაზის, ელექტრო ენერგიისა და წყლის მრიცხველის მონტაჟთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტაცია, ხელი მოაწეროს შესაბამის ხელშეკრულებებს. მინდობილობის გამცემის სახელით ზ/აღნიშნულ ორგანიზაცია-დაწესებულებებში ჩააბაროს და მიიღოს ყველა საჭირო დოკუმენტი და გადაიხადოს შესაბამისი გადასახადები. მინდობილობის გამცემის სახელით კანონმდებლობით დადგენილი წესით ზ/აღნიშნულთან დაკავშირებით შეიტანოს და მიიღოს (გამოითხოვოს) ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტი და ხელი მოაწეროს მათ. ზ/აღნიშნულთან დაკავშირებით შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის პროცედურა და მოქმედება, რაც აუცილებელია მინდობილობის გამცემის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.
5. იყოს მინდობილობის გამცემის წარმომადგენელი ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, შეიტანოს განცხადება/საჩივარი, დაიცვას მინდობილობის გამცემის ინტერესები ნებისმიერ ადმინისტრაციულ განხილვასთან, დავასთან, საჩივართან დაკავშირებით, ასევე დაეთანხმოს და/ან არ დაეთანხმოს დავაზე გამოტანილ დადგენილებას, წარმოთქვას ზეპირი/წერილობითი მოსაზრებები, ჩაიბაროს და ჩააბაროს ნებისმიერი დოკუმენტი საქმესთან დაკავშირებით გაასაჩივროს (შეიტანოს საჩივარი) ნებისმიერი დადგენილება/გადაწყვეტილება, განახორციელოს ყველა აუცილებელი მოქმედება და ხელი მოაწეროს საჩივარს, განცხადებას და ყველა საჭირო საბუთს, რაც ზემოთაღნიშნული დავალებების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული.
6. მინდობილობის გამცემის სახელით ზემოაღნიშნულ დაწესებულებებს მიმართოს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით და ასევე წარადგინოს / შეიტანოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის განცხადება და ხელი მოაწეროს მას; განაცხადოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის თანხმობა და ხელი მოაწეროს მას; გამოითხოვოს / მიიღოს / ჩაიბაროს ნებისმიერი სახის დოკუმნეტები, მოწმობები, ნებართვები, პროექტები, დუბლიკატები, ნახაზები და სხვა ნებისმიერი დოკუმენტი; მოახდინოს ნებისმიერ დოკუმენტში, პროექტში, ცვლილება/კორექტირება, საჭიროების შემთხვევაში შეასწოროს ხარვეზი, დააზუსტოს მოთხოვნა, შეაჩეროს, შეწყვიტოს ან/და განაახლოს სარეგისტრაციო საქმის წარმოება, ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტებს, გადაიხადოს გადასახადები, სახ. ბაჟები და მოსაკრებლები;
7. მოახდინოს ნებისმიერი უძრავი ქონების - დაკანონება, ნებისმიერი სახის ცვლილება, ფართების იდენტობა, ფართის კორექტირება, ფართის დაზუსტება, ცვლილება, გამიჯვნა, გაყოფა დაყოფა, მიერთება, ფართების გაერთიანება, კონფიგურაციის შეცვლა, მოახდინოს ცვლილებების რეგისტრაცია კოორდინატთა სისტემაში ან დააზუსტოს უძრავი ქონების კვადრატულობა და აზომვითი ნახაზის შესაბამისად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურში მინდობილობის გამცემის სახელზე რეგისტრაცია.

მინდობილობა გაცემულია 3 (სამი) წლის ვადით და ძალაშია 16/03/2029 წლის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების სანოტარო საზღაური : 18 ლარი , თანახმად `სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების~ შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, #507) 31-ე მუხლისა , დღგ 3.24 ლარი და რეესტრში რეგისტრაციის საფასური 5 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, #507) 39-ე მუხლისა, სულ 26.24 ლარი.

ხელის მოწერა გიორგი მელიქიშვილი.

ნოტარიუსი: /წანი სიდამონიძე/